N 200 11/06/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის კარლო კვიტაიშვილის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად , იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: 1)სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია; 2) ეკონომიკის,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისია; სულ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე 19 საკრებულოს, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომაზე. დავესწარი სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას 4-ჯერ, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიას 10-ჯერ; სადაც განვიხილეთ ყველა ის საკითხი, რომელიც საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე გავიდა განსახილველად და დასამტკიცებლად, კომისიები განხილულ საკითხებზე იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებებს რომელიც აისახებოდა კომისიის სხდომის ოქმებში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი. მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

ასევე ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განვიხილავდით აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს, ასევე გაცნობებთ, რომ შეწამვლითი სამუშაოები 2018 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა.

მინდა მოგახსენოთ იმ პროექტებზე და დახმარებებზე რომელიც ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.კერძოდ ეს პროექტებია:

- ურუშაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- მშვიდობის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა;
- ყაზბეგის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ბაგრატიონის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ურუშაძის ქუჩაზე გიორგი შარაბიძის სახლთან გაბიონის მოწყობა;
- კერხანოჩიევის საცხოვრებელ სახლთან გაბიონის მოწყობა;
- მოიხრეშა ლიშისღელის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა;

რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა 2018 წელს შუამდგომლობა გავუწიე 49 მოქალაქეს, აქედან 28 ადამიანს დახმარება გაეწია მედიკამენტებზე, 7 ბენეფიციარს დაუფინანსდა საოპერაციო თანხა, სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია 9 ადამიანს, ასევე დახმარება გაეწიათ მრავალშვილიან ოჯახებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს და ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკულ უკმარისობით დაავადებულთა ბენეფიციარებს.

2018 წელს მძიმე საცხოვრებელ პირობებში, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 3 ოჯახს ერთჯერადად გაეწია დახმარება 700 ლარის ოდენობით.

2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 18 ოჯახს გადაეცა სახლის სახურავის საჭირო სამშენებლო მასალა.

რაც შეეხება 2019 წელს ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებია, კერძოდ:

- გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მიმდინარეობს ქალაქის ტექნიკური წყლით მომარაგება;
- მშვიდობის ქუჩის სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ურუშაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ბაგრატიონისა და ბარათაშვილის ქუჩის შესახვევებთან სანიაღვრეების მოწყობა;
- თავისუფლების ქუჩის პირველ შესახვევში სანიაღვრე არხის მოწყობა;
- წმ. ნინოს ქუჩაზე და წილოსნების უბანში სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ბაგრატიონის ქუჩაზე ლაშა დუდუჩავას სახლთან სანიაღვრე არხის მოწყობა;
- თავისუფლების ქუჩაზე იგეგმება ი.დუნდუას სახელობის ხელოვნურსაფარიანი მოედნის რეაბილიტაცია;
- თავისუფლების ქუჩაზე ასფალტის საფარის წერტილოვანი შეკეთება;
- იგეგმება მდინარე ლაშისღელის კალაპოტის გაწმენდა;
- ბარათაშვილის ქუჩის ბოლოში არხის მოწესრიგება;

მე როგორც საკრებულოს წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და ქალაქის ამომრჩევლებთან, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს თანადგომისთვის.

კარლო კვიტაიშვილი



თავმჯდომარის მოადგილე
ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორები"